

# სირცხვილის როლი დევეიაციური ქცევის განხორციელებაში

ირინა ლურსმანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ლევან თარხნიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ირინა ლურსმანაშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი:

მოცემული კვლევის თემაა სირცხვილის როლი დევიაციური ქცევის განხორციელებაში, კვლევის მიზანია იმის დადგენა თუ რა სოციალური ნორმები მოქმედებს დღეს ქართულ საზოგადოებაში, რას ფიქრობენ მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელი ადამიანები, როგორ ქცევას თვლიან მოსაწონად ან დასაგმობად, რა ღირებულებებია მათთვის მთავარი ადამიანში და როგორ განსხვავდება ეს ღირებულებები თაობებისა და სქესის მიხედვით, ასევე პირადი მაგალითების საფუძველზე იმის გაგება თუ როგორ გავლენას ახდენს (ან ახდენს თუ არა) სირცხვილის გრძნობა ადამიანის ქცევაზე.

სხვადასხვა კვლევები (მაგ. კავკასიური ბარომეტრი, მსოფლიო ღირებულებების კვლევა, საქართველოს საზოგადოების ღირებულებების კვლევა) გვიჩვენებს, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება უმეტესწილად ტრადიციულია, თუმცა მასში ვხვდებით მოდერნისტულ და ზოგჯერ პოსტ-მოდერნისტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ელემენტებსაც. ჩემი კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით დღევანდელი ქართული საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა, რაც გულისხმობს იმასაც, რომ ის არის პატრიარქატული ანუ მოცემულ საზოგადოებაში მამაკაცი უფრო პრიორიტეტულია, რაც გულისხმობს იმას, რომ სოციალური ნორმები ქალისთვის მეტ მორჩილებას, კდემამოსილებას, მორიდებულობასა და ნაკლებ პრეტენზიულობას მოითხოვს, მამაკაცისგან კი მეტ თავდადებას, მამაცობასა და დამოუკიდებლობას. თაობებს შორის ამა თუ იმ საკითხზე განსხვავება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგალითად უფროსი თაობის ადამიანები უფრო მეტად არიან ტრადიციებისკენ მიდრეკილები, ვიდრე ახალგაზრდები, ასევე არსებობს განსხვავება სქესებს შორისაც, ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ მამაკაცები უფრო მეტად ტრადიციულები არიან, ვიდრე გოგონები. ჩემი აზრით, საზოგადოება უფრო მკაცრი და მომთხოვნი ნახევარი საუკუნის წინ იყო, ვიდრე ახლაა და ინდივიდს უფრო მეტი თავისუფლება აქვს ახლა, ვიდრე აქამდე ჰქონდა.

სირცხვილის გრძნობა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, იმ მხირვ რომ, იგი ზღუდავს ქმედებებს, რომელიც ეწინააღმდეგება ნორმებს და ახალისებს ქცევებს, რომელიც სოციალური ნორმების სრული დაცვით ხდება.

მოცემულ კვლევაში განხილულია თეორები, რომელთა მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ ადამიანი არის სოციალური არსება, რომელიც ცხოვრობს და მოქმედებს საზოგადოებაში და რომ ნორმალური ფუნქციონირებისათვის მას სჭირდება დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, საზოგადოება კი თავისი წესებით, კანონებითა და მორალური ნორმებით ამ განცდას ქმნის და თავიდან გვარიდებს ქაოსსა და უწესრიგობას. თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის ყველა ადამიანი არ მოქმედებს ნორმებისა და კანონების ფარგლებში, ზოგჯერ ისინი გადაუხვევენ ხოლმე ზნეობრივი ან სამართლებრივი საზღვრებიდან და აკეთებენ იმას, რასაც სოციოლოგები დევიაციურ ქცევას უწოდებენ, ხოლო მოქმედ პირს კი- დევიანტს. დევიაციური ქცევის შესამცირებლად საზოგადოებას აქვს ე.წ „დასჯის მეთოდები“, ფორმალურიც და არაფორმალურიც, შეიძლება საზოგადოებისგან გაირიყოს დევიანტი ან კანონის ფარგლებში იქნეს დასჯილი. რას გადაწყვეტს, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, გახდეს თუ არა დევიანტი, დამოკიდებულია მის შეხედულებებზე და ასევე ემოციურ მდგომარეობაზე. პირობითად, თუ კი სიბრაზემ შეიძლება რაიმე ქცევის პროვოცირება მოახდინოს, ასევე შეუძლია სირცხვილის გრძნობასაც, მისი საშუალებით შეიძლება რაიმე ქმედება თავიდან იქნეს აცილებული ან პირიქით- განხორციელებული.

მოცემული კვლევა თვისებრივი ხასიათისაა, რომელიც რესპონდენტთან დასაკავშირებლად იყენებს, არაალბათური შერჩევის ყველაზე მოსახერხებელ ტიპს - თოვლის გუნდას და ინფორმაციის ამომწურავად ამოსაღებად-სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც შეიცავს ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საზოგადოება, ინდივიდი, ღირებულება, სირცხვილი, ქცევა.

## Abstract

The subject of this research is the role of shame in deviation behaviors. The goal of the study is to determine which social norms are in Georgian society today, What do women and men think about behavior, what kind of behaviors do they like or dislike, What are the most important values for Human being and What's difference of these values between the generation and gender, Also depending on personal experiences understanding how affects or not the feeling of shame at the human behavior.

Different surveys (for example: Caucasus barometer, World value research and research of values of Georgian society) show us that Georgian society is mostly traditional, but we meet also elements characteristic of modernist and sometimes post-modernist society.

According to my hypothesis: „Today's Georgian society is more traditional in the sense of that the social norms require more obedience to women, also adherence, Shyness and less pretenses, and for man more self-sacrifice, bravery and independence. Of course there is differences between generation, for example, older people are more likely to be traditional than young people, and there is a difference between sexes, in this case, I think men are more traditional than women. The society was more strict and demanding half a century ago than it is now and the individual has more freedom now than s/he had before. The sense of shame limits actions that contradict the norms and encourage behaviors that are in full compliance with social norms.”

According to these theories which I was reviewing there is becoming clear that human is a social being, which lives and operates in society and for normal functioning s/he needs a feeling of safety and security, The society creates this feelings by its rules, laws, and moral norms and prevents chaos and disorder. It is obvious that not every person is always in the framework of norms and laws, Sometimes they turn away from the moral or legal boundaries and do what sociologists call deviation behavior, and the persons- deviant. The society has so-called

"punishment methods" to reduce deviant behavior, formal and informal, S/he may be expelled from the public or to be punished within the law. What decides how a person behaves like becoming or not becoming a deviant depends on his views and emotions. Conventionally, if it is possible that anger can provoke any behavior, it also can sense of shame, With the feeling of shame it is possible to avoid any action or opposite, implemented.

This study is of qualitative nature, Which uses to connect with the respondent the most convenient type of Non-Probability Sampling - Snowball and to get comprehensively information i use in-depth interviews, which containing a semi-structured questionnaire.

**Key Word:** Society, Human, Value, Shame, behavior.

## მადლობა

ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ლევან თარხნიშვილს ვუხდი უდიდეს მადლობას კვლევის მსვლელობისას გაწეული დახმარებისთვის, მნიშვნელოვანი და სასარგებლო რჩევებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი თითოეულ რესპონდენტს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც გამონახა დრო, გამოთქვა ჩემი დახმარების სურვილი და თუნდაც სულ მცირედი წვლილი შეიტანა ჩემი ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში.